საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

11/07/2025

MES 5 25 0000856905

გადაწყვეტილება

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც

„ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 11 აპრილის №404129 (ცვლილება ბრძანებაში №479785, 05/05/2025) ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების „ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2032 წლის 27 ივნისამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 27 ივნისის სხდომის №856841 ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დარგობრივი კომპეტენციების უკეთ მხარდასაჭერად, ფსიქოლოგიის ამჟამინდელი კურსი ჩანაცვლდეს „სტატისტიკის შესავლით“ (სტანდარტი 1.4.);
- რეკომენდებულია, ისეთი ზოგადი არჩევითი საგნები, როგორიცაა „საქართველოს ისტორია“ და „ფილოსოფიის შესავალი“, ჩანაცვლდეს დარგის შესაბამისი კურსებით ან ამოღებულ იქნას ისინი არჩევითი კურსების სიიდან (სტანდარტი 1.4);
- რეკომენდებულია „საბაკალავრო ნაშრომის“ გაუმჯობესება კურსის სასწავლო შედეგების მიღწევის და ხელმძღვანელთან სამუშაოდ გამოყოფილი საკონტაქტო საათების შეფასებისა უზრუნველყოფით. (სტანდარტი 1.5);
- რეკომენდებულია, თავიდან იქნას არიდებული შინაარსის დუბლირება სხვადასხვა კურსში, როგორიცაა არჩევითი კურსი „ კლიმატის ცვლილება, ეკოლოგიური საფრთხეები და კატასტროფები“ და თავისუფალი არჩევითი კურსები „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება და გარემოსდაცვითი რისკები და მათი შეფასება“ (სტანდარტი 1.5);
- რეკომენდებულია, დუბლირებული თემების ოპტიმიზაცია თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად და ზედმეტი თემების თავიდან ასაცილებლად. (სტანდარტი 1.5) რეკომენდებულია, “ინფორმაციული ტექნოლოგიების” კურსის სასწავლო გეგმის გადახედვა ხელოვნური ინტელექტისა და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების თემების ინტეგრირების მიზნით (სტანდარტი 1.5);
- რეკომენდებულია, კურსის „ტყის ეკოლოგია, საველე პრაქტიკის“ (თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსი) სასწავლო გეგმის გადახედვა და სწავლის შედეგების მიზნებთან შესაბამისობაში ჩამოყალიბება. (სტანდარტი 1.5);
- რეკომენდებულია, კურსის - „ეკოსისტემებში საველე პრაქტიკა“ სასწავლო გეგმის გადახედვა და სტუდენტების ცოდნის შეფასების ფორმების, მეთოდებისა და კრიტერიუმების მკაფიოდ ჩამოყალიბება;
- რეკომენდებულია, „პრაქტიკის დღიურის წარმოება“ განისაზღვროს შუალედური შეფასების კომპონენტად. ასევე, უნდა დაიხვეწოს შეფასების რუბრიკები. სწავლის შედეგების მახასიათებლები უნდა ჩამოყალიბდეს გაზომვადი, მიღწევადი, აქტუალური მიდგომით. (სტანდარტი 1.5);
- რეკომენდებულია, პროგრამაში წარმოდგენილი პრაქტიკის კომპონენტის გადახედვა და ჩამოყალიბება ისე, რომ გახდეს კონკრეტული და რეალისტური და სასწავლო გეგმაში ნათლად ასახავდეს, თუ როგორ იზომება/ფასდება პრაქტიკის შედეგების მიღწევა (სტანდარტი 2.2).
- რეკომენდებულია, შეფასება სტრუქტურირებული იყოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკის კომპონენტის შედეგების მიღწევის რეალისტური გაზომვა (სტანდარტი 2.2).

4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 27 ივნისიდან.
5. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 27 ივნისამდე.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში

წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე